პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 40 (18282) შუთშაბათი, 18 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლანდელ ჩავუყაროთ საფუძველი ფლის უხვ მოსავალს!

ზამთარი ზაფხულის მუშაა!

ეროვნული მტრის მიწაზე ვეხახმონატრებული ჯარისკაცის მამა გიორგი მახარაშვილი (კინოფილმიდან „ჯარისკაცის მამა“) წაქცეულ ვაზს წამოაყენებს, მავთულზე მიამაგრებს, მოუალერებს და, როცა ტანსიტი დაუდგება ვენახზე გადავლას მოიწადინებს, მახარაშვილი ვაზებს მოელი სხეულით აეფარება. ანდა: ალბათ, ბევრს უნახავს, ფოლის ბაღნობა მეცხვარე როგორ იხუტებს ბოლოდ გულში ახალშობილ ბატკანს, რომელიც ნერბს დაეკარგა. მცნობი მეცხვარე უმეტეს ცხოველს თავისი სხეულით გაათბობს, ადებს უკოვის და თვალებში სიხარულის ცრემლნამდგარი კმაყოფილებით უცქერის ბატკანსა და ნერბის-ალერსს.

საკვეყნოდ გაიფიერა ქართველი სახელოვანი მეჩიაე ქალის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ უუფუნიას ამსწავლინელობა თოოსნობამ. ოთხმოც წელს გადაცილებული შრომელი ქალის (რომელსაც ეწეროდ შრომამ ჩამოუყალიბა მტკიცე ხასიათი) წერილი ჩაის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკაზე ზრუნვის, სოფლის მშრომელის ინტერესისა და პატიოსნების შესანიშნავი მაგალითია.

ეს ფაქტები იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ მკითხველს გული ავუჩუყოთ. არა, ეს ეკეთ ფლეკანდელი დიდებული ფლეების, ეკეთ სოფლის შრომელთა ზნე-ჩვეულებაა, ეკეთ ომელსაც ფლეინადგა ყოველი ალალ-მართალი კაცი სრულიად ბუნებრივად ავლენს, ეკეთ ადგან კარგად იცის, რომ ამით იგი კაცურ-ეკეთობას ეკეთ ეალს ეხ-ეკეთ თავისი სოფლის, თავისი ხალ-ეკეთ ან ქვეყნის წინაშე. სწორ-ეკეთ ასეთი კაცურკაცობით არის ეკეთერი ჩვენი სოციალისტური ეკეთელი. ასეთი შრომელები ეკეთ-ეკეთად არიან და მათი რიგეკეთ-ეკეთადგ ავსებს ჩვენი ახალ-ეკეთზრდებით. ბევრი ქალიშვილი ეკეთ ბაზეკეთ მტკიცედ მისდევს გამ-ეკეთ ეშობლების კეთილ კვალს. ეს ეკეთ ანარა, ვინც მეათე ხუთწ-ეკეთ საამაყო მაჩვენებლებით ეკეთ-ეკეთვენა, ეს ისინი არიან, ეკეთ ეარშან თავი ისახელა 800 ეკეთ ტონა ყურძენს, 525 ათასი ტონა ჩაის ეკეთ-ეკეთ, დიდადი ხილისა და ციტრუსის, ეკეთ-ეკეთ ეულის, კარტოფილის, მარცვლეულის, ეკეთ-ეკეთ ეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა ეკეთ-ეკეთ ეა დამზადებაში. ეს ისინი არიან, ვინც მეეკეთ-ეკეთ ეორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დაეკეთ-ეკეთ ეასახელოდ შესრულებისათვის ეკეთ-ეკეთ ეი. ბრეჟნევის მილოცვა დაიმახსოვრა, ეს ეკეთ-ეკეთ ეარიან, ვინც დღესაც ზეკრებში, პლანეკეთ-ეკეთ ეცებში, ბაღ-ბოსტნებში, მინდვრად თუ ეკეთ-ეკეთ ეფერმებში დღენადაგ ამის ცდაში, რომ თა-ეკეთ-ეკეთ ეი გონებით, მარჯვენით ამრავლოს მიწა-ეკეთ-ეკეთ ეა ფერმრების ბარაქა! სწორედ მათნი იტ-ეკეთ-ეკეთ ეოთ ხოლმე: დაგელოდოთ მარჯვენა, ჩვენი ეკეთ-ეკეთ ეეკეთ ბურჯნო, ჩვენი სოფლის ბაღონ-ეკეთ-ეკეთ ეფრონნო, ჩვენი ხალხის დამპურებელნო!

ეკეთ-ეკეთ ეა სოფლის გამჩეკი, ნამუსიანი კაცს დიდი გუ-ეკეთ-ეკეთ ეა სალი გონება აქვს, ყოველთვის ერკ-ეკეთ-ეკეთ ეავს და კარგში, ისიც შესანიშნავად ეკეთ-ეკეთ ეიცნობენ, თუ კვეყანას როდის რა უმარ-ეკეთ-ეკეთ ეა რა ულხინს, ამიტომაც ასე გულმართ-ეკეთ-ეკეთ ეალ, ერთმანად უმერენ ხოლმე მხარს პარ-ეკეთ-ეკეთ ეტიის ბაკალეს, ან ეს ეკეთ-ეკეთ ეა ეკეთ-ეკეთ ეა ეკეთ-ეკეთ ეა

ქარისხი ფარმოების სარკეა

საპრესტიჟოა, ქუთაისური

ასობით კოშკურა მიმოფანტული ნავთობის საბადოებზე. კოშკურქვეშა „შავი ოქრის" მთრევები ჩაშვებული ელექტრძრავები შეუსვენებლივ ექაჩებიან ზემოთ ძვირფას ნედლეულს, ექაჩებიან, რათა უწყვეტ ნაკადად იღებდეს სათბობს ჩვენი ქვეყნის დიდი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

ნავთობის შეუფერხებელი ამოღება, მისი მოპოვების ზრდა მრავალ ფაქტორზე და მათ შორის ზემოხსენებული ელექტრძრავების გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელის გამძლეობას და სიმეფოობის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ის არის, რომ ძრავა წიაღის დიდ სიღრმეზე ყვინთავს და, ცხადია, მასთან „კონტაქტი" რთულდება. თითქმის ნახევარტონიან, დეფიციტური მასალებისაგან დამზადებულ ძრავას ადვილად ვერც სიღრმიდან ამოიღებ და ვერც შესაკეთებლად მიუგდებ, იგი ზედაპირზე გარანტიით გთვალისწინებული დროის ამოწურვის შემდეგ უნდა „მოგვეველოს".

ყველაფერ ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოების კოლექტივებს, რომლებიც მსგავს პროდუქციას უშვებენ, მით უმეტეს კოლექტივს, რომელსაც ქვეყანაში გამომუშავებული ნავთობის ძრავების 70 პროცენტის დამზადება დაეკისრა.

ბეგრმა, რა თქმა უნდა, არც იცის, რომ საწარმო, რომელსაც ასეთი რთული და ამავე დროს საპატიო მისია ხვდა წილად, საქართველოში და, კერძოდ, ქუთაისშია განლაგებული. არავის ეგონოს, თითქოს ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივისთვის ეს სიახლე იყოს. პირიქით, აქ წინათაც აკეთებდნენ ძრავებს, მაგრამ არც თუ ისე დიდი რაოდენობით. წარმოების მოცულობის ასეთი საგრძნობი ზრდა პროდუქციის ხარისხის მკვეთრმა გაუმჯობესებამ განაპირობა.

მართალია, ოთხი მოდიფიკაციის ძრავებიდან სახელმწიფო ხარისხის ნიშნით ჯერ არც ერთის არ მიეღია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მათ ღირსებას. ქარხნის ხელმძღვანელობამ განგებ არ წარადგინა ისინი საატესტაციოდ. ხუთწლედის ბოლოსათვის ეს ფაქტი ყურძნის მოსავლიანობა ერთიორად გაიზრდება. ხუთწლედის ბოლო წელს ნაკვლად 50 ათასი ტონისა სახელმწიფოს მარნებს 100 ათასი ტონა ყურძენი ჩაბარდება. ალაზანსა და ტარიბნის ზერების ბაზაზე აშენდება მეგენახეობის სამი დიდი საბჭოთა მეურნეობა, სამი ღვინის ქარხანა.

უკვე შეიქმნა და, შეიძლება თქვას, ფეხი იიდგა სამთაწყაროს სპეციალიზებული მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობამ. ახლა მის გამგებლობაშია 45 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი. წელს იგი კიდევ გაშენდება 460 ჰექტარზე, ხუთწლედის ბოლოსათვის კი მისი ფართობი 1.150 ჰექტარს მიაღწევს.

ასევე, ბორბალოს ხეობაში, ბაზალეთის ტბასთან, ალაზანზე, ბოდბეში, ბაკურიანში, ბაკურიანის ტბასთან, ბაკურიანის ბაზაზე, ბაკურიანის ბაზაზე, ბაკურიანის ბაზაზე

ᲡᲐᲙᲔᲓᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲞᲘᲡᲙᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲛᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲑᲖᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

● ᲙᲐᲜᲐᲓᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ. გაიმართა კანადის „პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 14 წევრის შემადგენლობით და 6 წევრობის კანდიდატი. კანადის კომპარტიის ცენტრალურ მდივნად კვლავ აირჩიეს უილიამ კაშტანი. კანადელ კომუნისტთა 25 ყრილობის საბოლოო სხდომაზე ერთსულოვნად მიიღეს სპეციალური რეზოლუცია — „ხელები მოხს კუბისაგან!“ და რეზოლუცია სისლიანი ხუნტისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სალვადორელი ხალხის ბრძოლის მხარდასაჭერად.

● ᲘᲠᲐᲜᲘ

ᲕᲠᲔᲒᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲜᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის უინსბერგერის მოგზაურობა მთელ რიგ არაბულ ქვეყნებში, ისევე როგორც ამერიკის სამხედრო მდივნის ჰეიგის ვიზიტი ბარეინში, ისლამურ აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობათა წინააღმდეგ ვაშინგტონის შეთქმულების ერთიანი ჯაჭვის რგოლებია, გაცხადა ირანის პრეზიდენტმა ალი ხამენეი-ხამენეიმ ირანის ირანის საგეგტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში.

მოუხდავად იმისა, რომ ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება ალინიშნული ეროიკის ბოლოს „საბჭოთა საფრთხის აღმოთქმა“ ასსნის, თქვა პრეზიდენტმა, ყველასათვის ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ნამდვილ საფრთხეს აქ ისლამური ქვეყნების ეროვნული განთავისუფლების ძალები წარმოადგენენ.

ამ ძალების დასაჩაგუნავად ვაშინგტონი ახალ მოკავშირეებს ეძებს, აწყობს ისეთ ფართო საბერო მანევრებს, როგორიც იყო, მაგალითად, ამასწინანდელი ერთნი „ბრაიტ სტარი“, ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს“, ასაძლო ირანის პრეზიდენტმა.

● ᲛᲐᲚᲢᲐ

ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲔᲡ

ᲚᲣᲜᲓᲝᲜᲘ. მალტის ახალი პრეზიდენტი გახდა ალათა ბარბარა, რომელიც მმართველი ლეიბორიტული პარტიის წარმომადგენელია. მის დანიშვნას ამ პოსტზე მხარი დაუჭიჭეს ეროვნულ პარლამენტში ხმის დიდი უმრავლესობით.

ა. ბარბარა 59 წლისაა, პროფესიით მასწავლებელია. იგი პირველი ქალი იყო, რომელიც პარლამენტში აირჩიეს 1947 წელს და 1955 წელს განთლების მინისტრად დანიშნეს.

● ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ

ᲘᲡᲚᲐᲛᲐᲑᲐᲓᲘ. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გადადგა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი აღა შაჰი.

საგარეო-პოლიტიკური უწყების ახალ მეთაურად დაინიშნა პაკისტანის ყოფილი ელჩი მთელ რიგ ქვეყნებში საპიბზადა იაკუბ ალი ხანი.

გადადგომის საბაბი იყო „მისი ჯანმრთელობის გაუარესება“.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ● ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ● ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. აქ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შინაპარტიული კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმისათვის მზადდების მომდინარეობა და გაეცნო ინფორმაციას, რომელიც ეხება პარტიის შემადგენლობის ცვლილებების უკანასკნელი თვეების მანძილზე.

კომისიამ დაადასტურა, რომ პარტიულ ორგანოებსა და ორგანიზაციებში მიმდინარეობს დადებითი პროცესები, იზრდება პირველადი პარტორგანიზაციების აქტიურობა, გრძელდება პარტიული რიგების წმენდა ადეფიციტიანი უცხო ადამიანებისაგან, რომლებიც აღღეგენენ წესდების დებულებებს და ხნიერ-ეთიკურ ნორმებს. დისკუსიის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტია აუცილებლად უნდა შეაჯანრდეს მარქსზმ-ლენინიზმის პინციპების საფუძველზე.

აღინიშნა აგრეთვე, რომ უნდა გაძლიერდეს კონტროლი პარტიაში მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისადმი, რაც ყველა პარტიული ორგანოსა და ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების უცილობელი პირობაა.

სტატიაში „პარტიასა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“ „ტრიბუნა ლუდუ“ წერს: დადგა დრო, როცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის - ყოველი წევრის წინაშე უნდა დაისახოს კონკრეტული სამოქმედო პროგრამა. დღეევანდელობა მუშაობის ახალ სტილს მოითხოვს. თითოეული პირველადი ორგანიზაციაც მოვალეა ესმოდეს, რომ მუშაობის წინანდელი ფორმები, რომლებიც გაგვეგებულიყო „თავისუფალი ევროპისა“ და „ამერიკის ხმის“ მიერ გადმოცემული ინსტრუქციების შინაარსს.

ეს მოვლენები, წერს გაზეთი, ფართოდ ვერ ვრცელდება, ვერ პოულობს საზოგადოების მხარდაჭერას. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეგვიძლია ჯეროვნად არ შევიფასოთ და უგულგულებელვყოთ ისინი. ამავე დროს შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სამხედრო წესების შემოღების ორი თვის განმავლობაში უკვე აღიაქვეთ მთელი საფრთხე. იმპერიალისტური წრეები, რომლებიც „პოლონელი ხალხის ბედისათვის ზრუნვით“ ინიღბებიან, ისწრაფვიან თავიანთი პოლიტიკური საწადლის მიღწევას და სულაც არ არიან დაინტერესებული იმით, რომ პოლონეთში სიმშვიდემ დისადგურის.

ახლა პოლონელი ხალხისათვის მთავარია სიმშვიდე და ნორმალური შრომა, რაც უწინარეს ყოვლისა აუცილებელია ქვეყანაში საჭირო გარდაქმნების განხორციელებისათვის. მართლაც საკვანძოველია, როგორ ვერ შეეგნოთ ეს ᲨᲔᲓᲐᲠᲗᲐᲠᲘᲐ იმათ, ვინც არეულობას იწვევს. გაკვირვებას იწვევს აგრეთვე ეკლესიის ზოგიერთი ჭარმომადგენლის პროგოკაციული, აგრესიული გამოსვლები.

„ეიჩე ვარშავის“ მოჰყავს მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო უტიფრად ერევა პოლონეთის სამინაო საქმეებში. გაზეთი იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ვარშავის საელჩოში აჩვენეს ანტიპოლონური სატელევიზიო პროგრამა საბელწოდებით „დე, პოლონეთი დარჩეს პოლონეთად“. ამასთან დაკავშირებით გაზეთი წერს: „ანტიპოლონური სატელევიზიო პროგრამის ჩვენება და ამ ჩვენებაზე პოლონეთის საზოგადოებრივობის მიწვევა სხვა არა არის რა თუ არა მორიგი პროვოკაცია. ამერიკელებმა იციან სამხედრო წესების შეზღუდვები და მუხედავად ამისა, მაინც მიიწვიეს გასინჯვაზე პოლონელი მოქალაქენი. იმადება კითხვა: რა მიზნებს ემსახურება ეს მოქმედება? შეესაბამება თუ არა ისინი დიპლომატიაში საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებსა და წეს-ჩვეულებებს? ალბათ, ამერიკის საელჩო დაინტერესებულია იმით, რომ კიდევ უფრო მეტად გაუარესდეს ორი სახელმწიფოს ურთიერთობა, რომელიც ისედაც დაძაბულია.

პოლონეთის საგარეო პოლიტიკის მიზნები ცნობილია: „პოლონელებს სურთ თავად, გარეშედ ჩაურევლად კეთილდღეობა საკუთარი სამშაბლო პრობლემები“. გაზეთი წერს, რომ „პოლონელებს აქ სურთ ისმინონ რეიგანის ადმინისტრაციის ქმეის დარიგება“. „ამავე დროს პოლონეთი იმის მოამზრეა, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდეს ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც. თითქოს პოლონეთმი მომუშავე ამერიკელ დიპლომატებს უნდა სცოდნოდათ ეს და არ ბემართათ მოქმედებისათვის, რომელიც ხელს უწყობს დაძაბულობის ზრდას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში.

15 თებერვალს, როგორც პოლონეთის პრესა იუწყება, გენერალურ პროკურატურაში გაიმართა პროკურატურის ხელმძღვანელი შემადგენლობის თათბირი. თათბირზე აღინიშნა, რომ სამხედრო წესების შემოღებამ ძირეული გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დანაშაულობათა მიცემები მკვეთრად შემცირდა 1981 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში, საგრძნობლად გაუმჯობესდა უშიშროება საზოგადოებრივ ადგილებში.

იუწყებიან, რომ პოლონეთში განახლდა 11 გაზეთისა და 20 ყოველკვირეულის გამოშვება, მუშაობას განაახლებენ აგრეთვე კატოვიცესა და შრეცინის ტელესტუდიები, კატოვიცეს, ლუბლინსა და ოლშტინის რადიოსადგურები.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲬᲔᲠᲘᲗ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც თბილისის დიდუბის ფერმანგანუმის საცდელი ქარხნის დარსებისა და გამოჩენილი ქართველი მეცნიერის გიორგი ნიკოლაძის გარდაცვალების ორმოცდამეათე წლისთავს მიეძღვნა.

იმ საცდელ ქარხანას ჩვენი ნედლეულის თავისებურებებთან დაკავშირებული არაერთი საწარმოო საკითხი უნდა გადაეწყვიტა: შეიძლებოდა ტყიბულის ქვანახშირით მუშაობა თუ ამისათვის კოქსი იყო საჭირო, კირქვა ეცადათ თუ გამომწვარი კირი, როგორ შეეფუვანათ რკინა ფერომანგანუმში — სუფსის მაგნიტური სილის, ჩათხის მადნისა თუ რკინის ნამსხვრევის სახით. უნდა გაერკვიათ სამუშაოს ეკონომიკური მხარე, რენტაბელობა, მანგანუმის გამოსაყენებისა და დნობის პირობების შესაბამისად ელექტროხერგიის შეფარდებითი ხარჯვის პრობლემა და კიდევ მრავალი სხვა.

ნახევარი საუკუნის წინათ ამუშავდა დიდუბის ქარხანა და იქ გამოდნობილი ლეგირებული სამამუნლო მეცნიერების ისტორიაში შევიდა როგორც პირველი ფერომანგანუმი, რომელიც მიღებულია საბჭოთა სპეციალისტების მიერ დამოუკიდებელ და აგებულ ელექტროღუმელში.

დიდუბის საცდელი ქარხანა — ქართული საბჭოთა მეტალურგიის მეცხალეი — გიორგი ნიკოლაძისა და მისი მოწაფეებისა — ი. ლორთქიფანიძის, ი. ნიკორაძისა და ამ ადამიანთა ირგვლივ დარაზმული საუკეთო კოლექტივის ქმნილება იყო. ჩვენი მრეწველობის გოლიათი, — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც გ. ნიკოლაძის სახელს ატარებს, დიდუბის ქარხნის პირმშო და მეძეკვიდრეა. თუ დღეს მეტალურგიული კერები ძძლავრად გეგგენებენ ზესტაფონსა და რეგსთავში, თბილისსა და ჭუთაისში, ეს გვაკვეს მეტალურგთა შესანიშნავი კადრები და გვაქვს ძლევა მეტალურგიული მეცნიერება — ეს იმის წყალობაც არის, რომ თავის დროზე არსებობდა დიდუბის ქარხანა და რომ მისი შემოქმედი არა მარტო შესანიშნავი მეცნიერი და ბრწყინვალე ინჟინერი, არამედ დიდი ეროსკაციც იყო.

მეტალურგიის ინსტიტუტის მუდმივი სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ცნობილი მეცნიერები, სპეციალისტები, გ. ნიკოლაძის ნათესავები, მოწაფეები, მისი თაყვანისმცემლები. ... პირველი ქართველი მეტალურგი ქალი ე. ნადირაძე, კეტრანი მეტალურგი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვ. მელაძე, აკადემიკოსები ფ. თავაძე, რ. აგლაძე, ვ. კუპრაძე, პროფესორები გ. მესხეიშვილი, ნ. პოლოვენტოვი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი გ. ქაშაკაშვილი, დიდი ჯიბაშის ნიკო ნიკოლაძის სახლმუზეუმის დირექტორი ვ. ბიბილეიშვილი.

გიორგი ნიკოლაძეზე — საქართველოში მეტალურგიის განვითარების ფუძემდებელზე, მისმიერ დაარსებულ დიდუბის საცდელი ქარხნის ისტორიულ მნიშვნელობაზე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობაზე ილაპარაკეს მოხსენებები აკადემიკოსმა ფ. თავაძემ, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა თ. სიგუამ და გ. ქაშაკაშვილმა.

შემდეგ გამოვიდნენ ვ. მელაძე ვ. ბიბილეიშვილი, მ. ცქიტიშვილი, ე. ლორთქიფანიძე, თ. ებანოიძე, რ. აგლაძე, იყო ამაღლებული და ამაღელვებელი საუბარი გიორგი ნიკოლაძის პიროვნებაზე, მის საოცრად მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, საქართველოში მეტალურგიის განვითარების ნიშანსვეტებზე, იყო თვალსაჩინო ინჟინერ-მეტალურგების ი. კაკელიძის, ი. ლორთქიფანიძის, ი. ნიკორაძის, შ. ფხაკაძის, ვ. ჩიტაძის გულთბილი გახსენება.

საბჭოეიერად, შემონახულია დიდუბის საცდელი ქარხნის აღწერილობა, ტროეკტები თუ გეგმები და, რაც მთავარია, შენობები. მათ საფუძველზე ქარხანა ახლო მომავალში პირველელი სახით იქნება აღდგენილი, იქ მეტალურგიის მუზეუმი მოეწყობა. ეს სასიამოვნო ახალი ამბავი ამცნო საზოგადოებას სესიის დასასრულს ინტიტუტის დირექტორმა ფერდინანდ თავაძემ.

უნდა ითქვას, რომ მეტალურგიის მუზეუმის გახსნის იდეას პირველად გაზეთმა „კომუნისტმა“ დაუჭირა მხარი, როცა 1980 წლის 22 ივლისს ნომერში გამოაქვეყნა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვ. მელაძის წერილი „მუზეუმად ხომ არ ვაქციოთ?“.

მართლაც კარგ ჩანაფიქრს ესხმება ხორცი; გ. ნიკოლაძისა და მისი თანამებრძოლების, ქართველ მეტალურგთა დიდ ამაგს სწორედ ასეთი დაფასება ეკადრებოდა!

თ. ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ

— **ᲑᲐᲡᲚᲔ** წელს, რომელიც შეგვიძლია ჩვენი კოლექტივისათვის ფრიად ნაყოფიერად ჩავთვალოთ, გრძელდებოდა პრობლემათა კვლევა იმ გეზის შესაბამისად, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ განისაზღვრა რეპუბლიკის ზემდგომი დირექტიული ორგანოების მითითებათა საფუძველზე. ეს გეზი გულისხმობს თანამედროვეობის სამ ყველაზე აქტუალურ პრობლემასთან, ეკონომიკა, ადამიანის, კულტურისა და ღირებულებების ფილოსოფიურ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსის კვლევას, — თქვა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ბუაჩიძემ საქინფორმის კორესპონდენტთან ნ. ბროლაძესთან საუბრისას.

— გამოვიდა ფუნდამენტური მონოგრაფიები, რომლებმაც დიდი ყურადღება მიიპყრო. მაგალითად, აკადემიკოს ა. ბოჭორიშვილის „რას ამბობენ ფილოსოფოსები ადამიანის არსის შესახებ“, გ. შუშანაშვილის „ზნეობრივ ღირებულებათა სპეციფიკა“. მეცნიერული ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენა გახდა ავტორთა კოლექტივების მიერ მომზადებული კრებულები „კულტურა ფილოსოფიის შეეჭრი“ და „კულტურა და საზოგადოებრივი ეგზისტირება“.

დასახელებული ნაშრომების თემატიკა უკავშირდება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლას ახალი ადამიანის — კომუნისტის აქტიური შეჭრისა ჩამოყალიბებისათვის, სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის. ამავე მიზანს ემსახურება აგრეთვე ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერთა პუბლიკაციები: ნ. ქავკაველის „ადამიანი—კულტურა—ღირებულებანი“, გ. ბანსელაძის „ზნეობრივ-შემოქმედებითი ხასიათის შესახებ“, ო. ტაბიძის „შემოქმედების ღირებულებითი ასპექტი“ და სხვ.

მიზანშმიმართული მუშაობა წარმოებდა სადღეისო მნიშვნელობის თემაზე „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სულიერი კულტურის სოციოლოგიური პრობლემები“. შესწავლილია სოფლის შრომელის, აგრეთვე ახალგაზრდობის კულტურის კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები. ვსწავლობდით სულიერი კულტურის ათვისებისადმი საბჭოთა ახალგაზრდობის დამოკიდებულების ზოგიერთ საკითხს.

ასევე აქტუალურია დღეს ინსტიტუტის მეცნიერული მოღვაწეობის მიმართულება — ბუნებრივ-ფილოსოფიურ სახრისთა, ბუნებაზეიული იდეოლოგიის კრიტიკა. აღმოშენული თემატიკის ნაშრომების გამოსცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა მსოფლიოში შეიმჩნევა იდეოლოგიური ბრძოლის გაფაქვიება. ეცილოსნელია ქვეყნად სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების ფაქტორ. ბერეტუაზიის ამოლოგეტები ცდილობენ დაიბრუნ სოციალიზმის იდეების მიმზიდველი ძალა და აყენებენ ნაირ-ნაირ „ფორიბებს“, რომელთა მიზანი შეასუსტონ შრომელთა ბრძოლა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, დაუბრუნონ „თავ ბოგნება, ააცდინონ რევოლუციურ გზა.

ქართველ ფილოსოფოსთა შრომებში მოეცემელია დამაჯერებელი კრიტიკა გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ჰერბერტ მარკუზეს თეორიისა, რომელიც უარყოფს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მარქსისტული პარტიების რევოლუციურ როლს და მათი პოლიტიკური პრაგმატების რევოლუციურ არსებას.

ეს დამაჯერებლად არის გაშუქებული ახალგაზრდა მეცნიერის გ. ნოდიას ნაშრომში.

კონცეფციები, რომლებსაც დღეს ამუშავებენ ბურჟუაზიული იდეალისტური ფილოსოფიური ახროვნების წარმომადგენლები, ღრმად არის „გაკრიტიკებული სხვა გამოკვლევებშიც. პროფესორ ზ. კაკაბაძის საინტერესო ნაშრომში განხილულია არსებითად ზოჭილისტური მსოფლმხედველობა, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე დასავლურ ხელოვნებას. ერთობ აქტუალურ თემას ეძღვნება ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. გოგობერიშვილის შრომა, რომელიც აშკარავებს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული რელიგიური პარტიების ნეგემონისტურ პრეტენზიებს. სამოდელოენების წრეები ითვალისწინებენ ხალხთა მისწრაფებას დემოკრატიისა და სოციალიზმისაში და ამტკიცებენ, თითქოს სწორედ რელიგიებს ხელეწიფობდეთ ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო შენობის ავება. ავტორი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ თავისუფლების ცნების რელიგიურ განმარტებას საერთო არა აქვს რა ჭეშმარიტ თავისუფლებასთან, ვინაიდან სინამდვილეში იგი აკნინებს და ზღუდავს ადამიანის სულიერ საწყისს.

ინსტიტუტის საქმიანობის აღნიშნული მიმართულებანი წელსაც განმსაზღვრელი იქნება.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ საზღვაო ფლოტის სამინისტროს მიერ მიღებული მონაცემებით საბჭოთა კონტეინერმზიდი „მექანიკოსი ტარასოვი“, რომელიც ქანადის კუბეკის ნავსადგურიდან ლენინგრადში მოდიოდა, ძლიერი შტორმის ზონაში მოხვდა და ნიუფაუნდლენდის რაიონში ჩაიძირა.

საშველი სამშაობები, რომლებსაც ამ ზონაში აწარმოებენ, მეტად გაძნელებულია, რადგან ბრიგადა ბრძოლაშია.

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ „ᲐᲒᲐᲠᲓᲘ“

„ᲐᲒᲐᲠᲓᲘ“, „ᲑᲐᲑᲘᲚᲝᲜᲐ“, „ᲑᲐᲑᲐᲚᲝ“, „ᲙᲘᲠᲘᲜᲘ“, „ᲒᲘᲠᲘᲜᲝᲛᲪᲕᲐ“, „ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲛᲪᲕᲐᲨᲘ“ — დაახლოებით ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲝᲠᲩᲐᲒᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ერთობის მგზნებარე მეხოცბე

შესრულდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის თვალსაჩინო აფხაზი საზოგადო მოღვაწისა და კოლეტის გიორგი შარვაშიძის დაბადების 185 წლის თავი.

გიორგი შარვაშიძე იმ მოღვაწეთაგანი იყო, წარუშლელ კვალს რომ ტოვებენ მშობელი ხალხის კულტურასა და ისტორიაში. იგი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და მათი თაობის მხარდამჭერი იდგა ყოველთვის საქართველოს, მისი კულტურისა და მოძძე ხალხთა საეკუმენ მეგობრობის საკეთრხველთან, პიროვნულად და მთელი თავისი მოღვაწეობით ჭეშმარიტად. განასაბერებდა ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ერთიანობისა და ძმობის იდეას.

გიორგი შარვაშიძე, თავის თანამედროვეთა მიერ „მოხდენილობის ეტალონად“ აღიარებული, ღღესაც რჩება ერთობისა და ძმობის ერთგული და გულმოდგინე მეხოტბის საუცხო და მისაბაძ მაგალითად.

ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მისი ბიოგრაფიის განხეული ფურცლების თავმოყრას განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართველი საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შეუდგა გიორგი შარვაშიძის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესწავლას, ხოლო 1946 წელს უკვე საქვეყნოდ საბჭოთაფაშეიძლება მეცნიერმა გამოაქვეყნა მისი თხზულებების კრებული და კულტურულ-ისტორიული ნარკვევი „გიორგი შარვაშიძე“. ეს ნაშრომი დღესაც ინარჩენებს ცხოველმყოფელობას, რამეთუ დიდი მეცნიერისათვის დამახასიათებელი რუდენებით, ქართველთა და აფხაზთა სულის მესაიდუმლის ალღოთი წარმოჩენილი გულმარჯული პოეტისა და მოქალაქის ღვაწლი, მისი მასაზრდოებელი აფხაზურ-ქართული ფესვები, ის კულტურულ-ისტორიული ერთიანი გაერემო, რომელშიც გიორგი შარვაშიძის მსგავსი მოღვაწენი ერთეულნი არ ყოფილან.

გიორგი შარვაშიძე იყო უფროსი ძე და შემკვიდრე აფხაზეთის უკანასკნელი თავრის მიხეილ (ამეთ-ბეგ) შარვაშიძისა. დედა პოეტისა — ლეკესანდრა „დიდ ნოკოდ“ წოდებული ცნობილი ისტორიკოსისა და მოღვაწის, ნიკო დადიანის შვილიშვილი იყო. ნიშანდობლიგია, რომ გიორგი, უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, ყოველგვარი რეაქციის მოძეულე, პროგრესული პატრიოტი დადგა.

გიორგის სიყმაწვილე იმ ხანას დაემთხვა, როდესაც ცარიზმმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და უშუალოდ დაიწყო მხარის უხეში კოლონიური ჩაგვრა. პოეტის მამა მიხეილ შარვაშიძე „ლალატის“ ბრალდებით გადაასვენეს და მოხეცებულ მთავარს სული ციხეში, შინაპატიმრობაში ამოხდა. ახალგაზრდა გიორგის, ანტიცარისტულ მოძრაობაში მონაწილეობის გამო უფლებები აპყარეს და რუსეთში გადასახლეს. მართალია, შემდგომში მეფის მთავრობამ შეიწყნარა გიორგი და მას პეტერბურგის კარზე კარიერაც ელოდა, მაგრამ იგი საქართველოში დაბრუნდა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ცარისტულ ჩინოვნიკობასთან. 1905 წლამდე მას აფხაზეთში ხანგრძლივად ყოფნაც კი ეკრძალებოდა. თანამედროვის მოწმობით, „გაბედულად შეიძლება“ ითქვას, რომ გიორგი ერთადერთი გამონაკლისი მაგალითი იყო მთელ ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვან მთავრობის მემკვიდრეთა და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელშიც ქედი არ მოიხარა... გიორგის ყმაწვილობიდან ეზიზღებოდა ყოველივე ის „სიკეთე“, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა“.

თვალსაჩინო პიროვნებათა დამახასიათებელი ის არის, რომ ისინი თავიანთი ხალხების საუკეთესო თვისებებს განასახიერებენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც გიორგი შარვაშიძე ყოფილა. მის პიროვნებაში შერწყმული იყო აფხაზი ხალხის თავდადება მეგობრებისათვის, შშობელი მიწა-წყლის უსაზღვრო სიყვარული, სიამაყე და ქედუხრელობა. გიორგის სავსებით გასაგები, მართლაც უღრმესი სიყვარული უყვარდა თავისი შშობელი აფხაზეთი. პოეტს აკრძალული ჰქონდა სამშობლო მხარეში ხანგრძლივად ცხოვრება და, თავისი მიწის სურნელს დანატრებული, იგი ფეხით დაიარლიდა თურმე მის ყოველ კუთხე-კუნჭულს და ხშირად ტანსაცმელშემოძარცული ბრუნდებოდა შინ. სამშობლოს უსაზღვრო და ტკივილნარევი სიყვარულის შედეგია მისი აფხაზური „ვარადა“. ამ ლექსიდან, მისი გულიდან ამოშავალი სტრიქონებიდან დიდი სევდა გამოსჭვივის, პატარა სამშობლოს შვილის სევდა:

„განგებავ ამას ხე მიწყენ, ვერ გადაგვვარდე გვარადა, ხანდახან დავალუღუნო მამაპაპური ვარადა“.

პოეტს ეკუთვნის თავის დროზე კარგად ცნობილი პუბლიცისტური გამოსვლები აფხაზეთის ისტორიისა და მისი თანამედროვე საქირბოროტო საკითხების გარშემო.

გიორგი შარვაშიძის როგორც პიროვნებისა და მოქალაქის აღზრდისა და ჩამოყალიბების საფუძველი იყო შორეული წარსულიდან მომავალი აფხაზებისა და ქართველების კულტურულ-ისტორიული ერთიანობა და მეგობრობა, ყოველივე ეს წმინდა და საუკეთესო, რაც მათ დაგროვეს ერთობლივი ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე. ამიტომაც აღიზარდა გიორგი აფხაზურ დათ-წესებთან ერთად „ეფეხსტყაოსანზე“, აფხაზურ ენასთან ერთად ქართულ ენაზე. ამიტომაც იყო, რომ გიორგი შარვაშიძისათვის „ეფეხსტყაოსანნი“ ენა განსაკუთრებული სიყვარულის საგანი იყო, ხოლო ბოსი სიწმინდის დაცვა და გამდიდრება ერთ-ერთი გამორჩეული საზრუნავი.

ამის დამადასტურებელია გიორგი შარვაშიძეს მრავალრიცხოვანი წერილები ქართულ პრესაში, მისი ცხოველი გამოხმაურებები ქართული ლიტერატურის ძნიშვნელოვან მოვლენებზე. ამის მკაფიო მაგალითია მისივე შემოქმედება—ლექსები, პოემა, დრამატული ნაწარმოებები. ალბათ, ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ, რომ „გიორგი შარვაშიძის ლექსებს „ვარადა“, „ობოლი“, „ლიმი“ და სხვა. აკადემიკოსი ს. ჯანაშია ქართული პოეზიის ანთოლოგიაში შეტანის ღირსად მიჩნევდა. ვფიქრობთ, ამის განხორციელება არ უნდა იყოს რთული საქმე და უპირველი იქნება, გიორგი შარვაშიძის საუკეთესო ნაწარმოებებმა დაიკავოს საპატიო ადგილი XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართული მწერლობის ანთოლოგიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი შარვაშიძის უფფაქიზესი დამოკიდებულება ქართველთა და აფხაზთა წარსულისადმი, რომელსაც მან პოემა „გვადლის ციხე“ უძღვნა. აფხაზთა და ქართველთა საერთო ისტორიისა და „წერილსადმი თავისი „დამოკიდებულება მან „შედეგი სიტყვებითაც დამოხატა: „მართალია, ჩვენს საშშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუელია, მაგრამ ჩვენნ წარსული ისეთ ყამს გაშეშდა, რომ დაგვეშა ბუნებრივი ევოლუციის შარადა და კაზონი...“ შემდეგ დასძენს — რაინდობა და პატიოსნება განუვადეთ და ბოლოს ეროვნიეთ ამ ხანაში, როგორც ზოგიერთები ევროდდეობას ჯაშუშობასა და საშშობლოს მტრობაში პოულობენო.

აფხაზმა რაინდმა, მისივე სიტყვეთ, „ჯაშუშებთან“ და „საშშობლოს მტრებთან“ საქმე რომ არ დაიჭირა, საერთოდ უარი თქვა ოფიციალურ სამსახურზე და თანამოაზრე მეგობართა გარკვეული წრით შემოიფარგლა. მათ შორის იყვნენ დიდი აკაკი, თავის ცხრაზე ცხობილი პოეტი და გიორგი შარვაშიძის უახლოესი მეგობარი მამია გურიელი, დავით მიქელაძე („მეგელა“), ტელემაკ გურიელი და სხვ. ამ წრის სულისკვეთებას კარგად ასახავს ერთი ნახევრად სახუმარო ამბავი, რომელიც ი. გრიშაშვილ-ს შემოგვინახავს: გიორგი შარვაშიძეს შეუთავაზებია მამია გურიელისათვის, ხელის არჩამორომეკისა და სალამის არმიცემის საზოგადოება დავაარსოთ და ვინც ჩინოსნობის მაძიებელი იყოს, ნურც ხელს ჩამოვარამეკეთ და ნურც სალამს მივცემთო. მამიას უკასუხია: ჩემო გიორგი, მაშინ ბე და შენნი დავრჩებით, დავიკიოფთ გულზე ხელი და ვიარათო.

სწორედ ამ მამია გურიელს ეკუთვნის შესანიშნავი ლექსი „ადამიანი“, რომლის საუცხოო რუსული თარგმანი გიორგი შარვაშიძეს შეასრულა. როგორც ვფიქვთ, ამავე წრესთან მეგობრობდა აკაკი წერეთელი. შემონახულია აკაკისა და გიორგი შარვაშიძის სალაღობო ლექსებიც, ერთიმანეთისადმი მიძღვნილი, ნადანაც კარგად ჩანს მათი ღრმა მეგობრობა, შეხვმოგბაში გამოხატული სიფაქიზე. „შენი ტაბილი საბარი, მიყვარს როგორც ქუბაა-ქუბა“, შენი ნახვა ნერვებაშლილს სამკურნალოდ შეეტვებაა“, — სწერდა აკაკი გიორგი შარვაშიძეს. „რაც უნდა მითხრა, მეგობარო, მე შენს შაგირდს მაძლევს ლხენას, რადგან ვიცი, უკეთ ხარო, მაღლსა ეწერავ ცას და ზენასა“, — უპასუხებს გიორგი. ამავე ლექსში აქვს გატარებული ორიოდე სიტყვით მთელი თავისი ცხოვრება ახრი გიორგი შარვაშიძეს — ძმობა და სიყვარული, ის ორი განძი, რომელიც წინაპრებმა გვიანდერძეს („თვით ს.ცოდნიათ ჩვენსა ძველსა“).

საგანგებოდ აღსანიშნავია გიორგი შარვაშიძის, აფხაზეთისა და მთელი საქართველოს პატრიოტის ღრმა ინტერნაციონალიზმი, პატივისცემა სხვა ხალხებისადმი, შეურიგებლობა ეროვნული და სოციალური ჩაგვრისადმი. ამ ტახტული, არსები-თად მთელი სიცოცხლის მანძილზე დევნილი პიროვნების სასაღელოდ უნდა ითქვას, რომ მას, სალად მოაზროვნე ინტელიგენტს, არასოდეს გაუგიგვებია მჩაგვრელი ცარისტული რეჟიმი რუს ხალხთან. მისივეს უალრესად ძვირფასი იყო რუსული კულტურა და სტაყვიერება. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მას რუსული ლექსებიც საკმაოდ მოეპოვება.

გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა 1918 წლის 19 თებერვალს და დაკრძალულია მოქვის ტაძარში, თავისი მამის, მიხეილ შარვაშიძის გვერდით. იგი ვეღარ მოესწრო საშშობლოს მოშავალს, ისევე, როგორც მისივე თაობის ბევრი მოწინავე წარმომადგენელი, რომელთაც ბედნიერება მომავალში ეგულებოდათ, მომავლის რწმენით იღვწოდნენ. სამაგიეროდ მომავლის ქართველებს და აფხაზებს არ დავიწყებიათ თავიანთი დამაშვრალი მოღვაწენი.

დიდი ხანია ასრულდა გიორგი შარვაშიძის ცხოვრების მიზანი, ახლა მისი ყველაზე სანუკვარი ოცნება. მისი მშობელი აფხაზეთი, მისი საქართველო საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების მხარდამხარ აშენებენ მომავალს. ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მახძილზე მიმდინარე პოზიტიური გარდაქმნების თვალსაჩინო გამოხატულებაა ის ფართო პროგრამა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურულ-სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობის ახალ ალმაღლობას რომ ისახავს მიზნად. ამას მოწმობს აფხაზეთის უნივერსიტეტი და ტელევეზია, ალმშენებლობის დასახული პროგრამა. ყოველივე ეს ერთობისა და ძმობის, იმ მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძმობის შედეგია, რომელსაც ჩვენი დღევანდელობა ეფუძნება. ამიტომაც აფხაზებს თანამედროვეობა მაღალი ზნეობისა და ქეიფხერულობს, ერთობისა და ძმობის ღირსეულ და გულმართალ მეხოტბეს გიორგი შარვაშიძეს.

მ. დუმბაძე,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
ი. ანთელავა,
საქართველოს კომპოზიტორთა პრემიის ლაურეატი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

თბილისის საუნე მასალათა კომბინატის წითელი კერამიკის ნაწარმი დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

საწარმოს ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა, საერთაშორისო გამოფენებში და პრიზებიც დაუმსახურებია.

სურათზე: წითელი კერამიკის უბნის მოწინავე მუშა მარიამ ანდღულაძე გვიჩვენებს ახალ ნიმუშებს.

ნ. ნათელაშვილის ფოტო.

ყაბალი

ჭადრაკის დაფებთან

ექვსიდან—5,5 ქულა

ბარ-დელ-კლაბაში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე 6 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე კვლავ უხარელი დიდოსტატი ლაიმ პორტიშია — 5,5 ქულა. VI ტურში მან მოუგო ლევ პოლუგაევსკის. გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ 4,5 ქულით მეორე ადგილზეა პოლანდიელი იან ტმანი (მან ერთ-ერთ გადადებულ პარტიაში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი). პოლუგაევსკის (სსრ კავშირი), ულფ ანდერსონსა (შვეცია) და მიგელ ნაიდორფს (არგენტინა) 3,5-3,5 ქულა აქვთ, ხოლო კარპოვს — 3.

ერევნის ზონალურ ტურნირზე

16 თებერვალს ერევანში დაიწყო მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი. პირველ ტურში ი. გიორგაძე შავებით ეთამაშებოდა კრასნოდარელ ვ. ცეშკოვსკის, პარტია გადაიდო 41-ე სვლაზე. ოდესელმა ვ. ტემაო